

პროფესიულ დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის, საექიმო-შრომითი ექსპერტიზის და რეაბილიტაციის ზოგადი პრინციპები

1. რა არის პროფესიული პათოლოგია

- ა) პათოლოგია, რომელიც უვითარდება ადამიანს მუშაობის დაწყების შემდეგ
- ბ) პათოლოგია, რომელიც ადამიანს ჰქონდა მუშაობის დაწყებამდე და დამძიმდა მუშაობის დაწყების შემდეგ
- *გ) მათე პროფესიული ფაქტორებით გამოწვეული პათოლოგია
- დ) წარმოებაში არსებული შრომის პირობების უხეში დარღვევების ხელშეწყობით განვითარებული პათოლოგია - მაგალითად, ფილტვების ტუბერკულოზი მგერიან საწარმოში, პნევმონია არახელსაყრელ მიკროკლიმატურ პირობებში და სხვა.

2. რა არის საკუთრივ პროფესიული პათოლოგია

- ა) პათოლოგია, რომელიც უვითარდება მხოლოდ კონკრეტული პროფესიის პირებს
- ბ) პათოლოგია, რომელიც გამოწვეულია მხოლოდ ერთი მათე პროფესიული ფაქტორით
- *გ) პათოლოგია, რომელიც არ უვითარდება ადამიანს არაპროფესიულ საყოფაცხოვრებო პირობებში
- დ) პათოლოგია, რომელიც პირველად ვლინდება კლინიკურად მათე პროფესიულ ფაქტორთან კონტაქტის გაწყვეტის შემდეგ

3. რა არის პირობით პროფესიული პათოლოგია

- ა) ნებისმიერი პათოლოგია, რომელიც უვითარდება ადამიანს მუშაობის დაწყების შემდეგ
- ბ) პათოლოგია, რომელიც ადამიანს ჰქონდა მუშაობის დაწყებამდე და დაუმძიმდა მუშაობის დაწყების შემდეგ
- გ) პათოლოგია, რომელიც არ ვითარდება საყოფაცხოვრებო პირობებში
- *დ) პათოლოგია, რომელიც ჩვეულებისამებრ შეიძლება განუვითარდეს ნებისმიერ ადამიანს, მაგრამ კონკრეტული პროფესიის ადამიანებში იგი გამოწვეულია მათ სამუშაო ბოზაში არსებული მათე პროფესიული ფაქტორებით
- ე) პათოლოგია, რომელიც გამოწვეულია მათე პროფესიული ფაქტორით, მაგრამ კლინიკურად ვლინდება მხოლოდ ამ ფაქტორთან კონტაქტის გაწყვეტის რამდენიმე წლის შემდეგ

4. რა ნაწილებს მოიცავს პროფპათოლოგიური დისციპლინა

- ა) პროფესიული დაავადებები და საერთო დაავადებები
- ბ) პროფესიული დაავადებები და გრავმული დაავადებები
- *გ) პროფესიული დაავადებები და პროფესიული ინტოქსიკაციები
- დ) პროფესიული დაავადებები და შრომის ფიზიოლოგია
- ე) პროფესიული დაავადებები და შრომის ექსპერტიზა

5. რა იგულისხმება ტერმინში “პროფესიული ბიოგრაფია”

- ა) ადამიანის პროფესია ექიმთან მომართვის დროს
- ბ) ადამიანის პროფესია და მუშაობის კონკრეტული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ექიმთან მომართვის პერიოდში
- გ) რა ასაკში დაიწყო გამოსაკვლევემა პირმა მუშაობა და რა პირობებში
- *დ) შრომითი მოღვაწეობის ყველა მახასიათებლის შესწავლა - მუშაობის დაწყების ასაკი, პროფესია, შრომის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მუშაობის დაწყებიდან გამოკვლევის პერიოდამდე - ყველა მათე ფაქტორების თვისობრივი და რაოლენობრივი მანუენებლებით, სტაჟის დაზუსტებით ყველა სამუშაო ადგილზე, ქრონომეტრაჟის მონაცემებით და სხვა
- ე) შრომის პირობები და სტაჟი იმ პროფესიაში, როდესაც პირველად განუვითარდა დაავადების სიმპტომები

6. რა სახის პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვები წარმოებს პროფესიული პათოლოგიის ნაადრევი ფორმების გამოვლინების მიზნით

- ა) მხოლოდ პროფესიული შერჩევა
- ბ) მხოლოდ პერიოდული სამედიცინო გასინჯვები
- გ) მხოლოდ ნაწილობრივი სამედიცინო გასინჯვები
- დ) წინასწარი, მიზნობრივი და პერიოდული სამედიცინო გასინჯვები
- *ე) წინასწარი და პერიოდული სამედიცინო გასინჯვები

7. რა მიზნით წარმოებს წინასწარი სამედიცინო შემოწმება

- ა) ნებისმიერი დაავადების გამოვლინებისა და მკურნალობისთვის
- *ბ) პროფესიული შერჩევის მიზნით
- გ) პროფესიული დაავადებების გამოვლინების მიზნით

8. რა მიზნით წარმოებს პერიოდული სამედიცინო გასინჯვები

- ა) მხოლოდ პროფესიული დაავადებების ნაადრევი ფორმების გამოვლინების მიზნით
- ბ) მხოლოდ ზოგადი დაავადებების გამოვლინებისა და გამოვლინებულ პირთა შრომისუნარიანობის საკითხის გადაწყვეტის მიზნით
- *გ) როგორც პროფესიული, ისე ზოგადი დაავადებების გამოვლინების და გამოვლინებულ პირთა შემდგომი ბედის გადაწყვეტის მიზნით
- დ) მხოლოდ ონკოლოგიური, ვენერიული და ტუბერკულოზური დაავადებების გამოვლინებისა და დროული მკურნალობის მიზნით

9. რომელ მომიჯნავე სამედიცინო დისციპლინასთან არის ყველაზე მჭიდრო კავშირში პროფპათოლოგია, რომლის გარეშეც შეუძლებელია პროფპათოლოგიური დიაგნოზის დასმა

- ა) თერაპია
- ბ) ნევროლოგია
- გ) ფსიქიატრია
- *დ) შრომის ჰიგიენა
- ე) კლინიკური გოქსიკოლოგია
- ვ) ალერგოლოგია

10. რა სახის პროფესიული მავნე ფაქტორებია ცნობილი, როგორც პროფესიული პათოლოგიის გამომწვევი ეტიოლოგიური ფაქტორი

- ა) მხოლოდ ფიზიკური ფაქტორები
- ბ) მხოლოდ საწარმოო მტვერი
- გ) საწარმოო მტვერი და სამრეწველო მხამები
- დ) ფიზიკური და ბიოლოგიური ფაქტორები
- *ე) ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორები

11. პროფესიული დაავადების დიაგნოზს განსამზღვრავენ:

- ა) თერაპიულ კლინიკაში
- ბ) თერაპიულ და ნევროლოგიურ კლინიკაში
- გ) კლინიკური გოქსიკოლოგიის განყოფილებაში
- *დ) სპეციალიზირებულ პროფპათოლოგიურ კლინიკაში

12. პროფპათოლოგიურ კლინიკაში ავადმყოფთა ისტორია დამატებით შეიცავს სპეციალურ ნაწილს

- ა) სპეციალური კლინიკური გამოკვლევის შედეგები
- ბ) განსხვავებულ საპასპორტო ნაწილს
- გ) დიაგნოზის განსხვავებულ გაფორმების წესს
- *დ) პროფესიულ ანამნეზს

13. რა ცნებაა “პროფესიული მარშრუტი”

- ა) მუშაობის დაწყების ასაკი
- ბ) რომელ წლებში და სად მუშაობდა გამოსაკვლევი პირი
- გ) კონტაქტი ამა თუ იმ საწარმოო ფაქტორებთან (ან მათ კომპლექსთან) და ამ კონტაქტის ხანგრძლივობა
- დ) მუშაობის პროცესში გადატანილი პროფესიული და არაპროფესიული დაავადებები
- *ე) ყველა ჩამოთვლილი მომენტის ერთობლიობა

14. პროფპათოლოგიურ კლინიკაში ავადმყოფის გაგზავნისას, რომელი პირობების დაცვა არ არის სავალდებულო

- ა) ავადმყოფის პროფესიული მარშრუტის შესწავლა,
- ბ) ავადმყოფის შრომის პირობების სანიტარულ-ჰიგიენური დანახათების შედგენა
- გ) ამბულატორიული ბარათის გაანალიზების შედეგები
- *დ) ყველა ჩამოთვლილი საკითხი აუცილებელია და დეონტოლოგიის მთავარი პირობაა

15. მიზანშეწონილია თუ არა სპეციალიზირებულ კლინიკაში პროფესიული დაავადებების არსებობის უარყოფის შემთხვევაში ავადმყოფის განმეორებით გაგზავნა იმავე მიზნით სხვა კლინიკაში

- ა) როგორც წესი, საჭიროა
- *ბ) როგორც წესი, მიზანშეწონილი არ არის
- გ) მიზანშეწონილია ამბულატორიული გამოკვლევა
- დ) განმეორებითი გამოკვლევა უნდა მოხდეს იურიდიული ორგანოების რეკომენდაციით

16. რომელი ნაწილი არ არის სავალდებულო პროფპათოლოგიური ავადმყოფობის ისტორიის შევსებისას

- ა) საპასპორტო ნაწილი
- ბ) ცხოვრების ანამნეზი
- გ) პროფესიული ანამნეზი
- *დ) კლინიკაში გამოგზავნილი სამედიცინო დაწესებულების იურიდიული სტატუსი

17. რა მონაცემები არ შედის პროფესიულ ანამნეზში

- *ა) ჩატარებული აცრები
- ბ) წარმოებაში ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის ღონისძიებების ხასიათი
- გ) სამუშაო დღის ხანგრძლივობა; საკვების მისაღებად შესვენების აღდგის, დამატებითი უფასო კვების არსებობა
- დ) მორიგი შევებულების დროული მიღება, მათი ხანგრძლივობა, ფაქტობრივი გამოყენება

18. რა უნდა დაერთოს აუცილებლად მკურნალი ექიმის მიერ შეკრებულ და აღწერილ პროფესიულ ანამნეზს პროფპათოლოგიური ავადმყოფობის ისტორიის შევსებისას

- ა) მავნე ჩვევების ხასიათი და მათი ხანგრძლივობა

- ბ) სანიტარულ-კურორტული მკურნალობის ჩატარება და მისი შედეგები
- გ) ოჯახური მდგომარეობა; მემკვიდრული დაავადებები
- *დ) შრომის ჰიგიენის მხარე შედეგად ავადმყოფობის შრომის პირობების დაწვრილებითი სანიტარულ-ჰიგიენური დახასიათება

19. პროფესიული დაავადებების სამკურნალო ღონისძიებები გულისხმობს:

- ა) მანქანის ფაქტორებთან ყველა შემთხვევაში კონტაქტის გადაუღებელ შეწყვეტას
- ბ) მხოლოდ ეტიოლოგიურ თერაპიას
- გ) მხოლოდ სიმპტომურ მკურნალობას
- დ) ეტიოლოგიურ და პათოგენურ მკურნალობას
- *ე) ეტიოლოგიურ, პათოგენურ და სიმპტომურ მკურნალობას

20. მწვავე პროფესიული ინტოქსიკაციის გადაუღებელი სამედიცინო დახმარების საერთო და ძირითადი პრინციპია:

- *ა) ორგანიზმში შხამის მოხვედრის შეწყვეტა, მიღებული შხამის გამოღებვა და განეიტრალება, ორგანიზმის დარღვეული ფუნქციის აღდგენა
- ბ) შხამწინაღის დანიშვნა
- გ) ორგანიზმის ცხოველქმელებისთვის მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფუნქციების მედიკამენტური მოწესრიგება
- დ) დაზიანებული პირის ავარიული ზონიდან სასწრაფოდ გამოყვანა

21. პროფესიულ დაავადებათა პროფილაქტიკის საერთო პრინციპებია:

- ა) წარმოებაში მხოლოდ მანქანის პროფესიული ფაქტორების რაოდენობრივი პარამეტრების სანიტარულ ნორმამდე დაყვანა
- ბ) წარმოებაში მხოლოდ ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების მოწესრიგებელი ჰიგიენური და სანიტარულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება
- გ) საკმარისია მომუშავე პირთა ორგანიზმზე წარმოების არახელსაყრელი ფაქტორების თავიდან აცილებისა და ნაადრევი გამოვლინების სამედიცინო ღონისძიებები
- *დ) ყველა ჩამოთვლილი ღონისძიებების კომპლექსური განხორციელება

22. რით განსხვავდება სამედიცინო ეთიკის საკითხები პროფესიულ პათოლოგიაში

- *ა) ავადმყოფის გაგზავნა სპეციალიზირებულ კლინიკაში უნდა გამოინაცხავდეს ე.წ. “ მუნჯი იაგროგენის” განვითარებას
- ბ) ავადმყოფმა კარგად უნდა იცოდეს წინასწარ ჩატარებული ჰიგიენური და კლინიკური გამოკვლევების შედეგები
- გ) საჭიროა წინასწარ ავადმყოფის გადაყვანა სხვა სამუშაოზე
- დ) დაუშვებელია ავადმყოფის მდგომარეობის მუსკი გაშუქება ავადმყოფობის ისტორიაში

23. ჩამოთვლილ საკითხებს შორის, რომელია პროფესიულ პათოლოგიაში მეორეხარისხოვანი სამედიცინო ეთიკის თვალსაზრისით

- ა) ექიმებისადმი ავადმყოფის სრული ნდობა
- ბ) ექიმის მაღალი კვალიფიკაცია პროფესიული პათოლოგიის დარგში და ცოდნის სისტემური გადრეკება
- გ) ექიმის ურყევი პრინციპულობა წარმოების აღმინისტრაციასთან, პროფკავშირულ და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობაში
- დ) მკურნალი ექიმის მჭიდრო კავშირი შრომის ჰიგიენისგებთან;
- *ე) ყველა ჩამოთვლილი საკითხი აქტუალური და პირველხარისხოვანია

24. პროფესიული დაავადებების დიაგნოზის დადგენა ყველა შემთხვევაში გულისხმობს:

- ა) ავადმყოფის შრომისუნარიანობის დარღვევას
- ბ) ავადმყოფის დაუყოვნებლივ პროფესიულ ინვალიდობაზე გადაყვანას წარმოებიდან მოწყვეტით
- გ) მხოლოდ პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვას ზოგადი შრომისუნარიანობის შენარჩუნებით
- *დ) შრომის პირობების გაჯანსაღებისა და ავადმყოფის მიმართ სარეაბილიტაციო კომპლექსის რეალიზებას

25. პროფპათოლოგიური ავადმყოფობის რეაბილიტაციის სისტემაში სამედიცინო მუშაკების უშუალო ამოცანებია:

- ა) სამართლებრივი ასპექტების განსაზღვრა
- ბ) სოციალურ-ეკონომიური ასპექტების დაზუსტება
- *გ) დაავადების პროგრესირების და რეციდივების წინააღმდეგ მიმართული პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება ავადმყოფთა რაციონალური შრომით მოწყობაში მონაწილეობის მიღებით
- დ) ავადმყოფთა და ინვალიდთა სოციალური და საყოფაცხოვრებო მოწყობა

26. პროფესიულ დაავადებებთან კონტაქტში მყოფ პირთა ღრობებით სხვა სამუშაოზე გადაყვანა მიზანშეწონილია შემდეგ შემთხვევაში

- *ა) დაავადების დასაწყისი ფორმა, დაიწყო შედარებით მოკლე ხნის წინ, მოსალოდნელია კარგი თერაპიული ეფექტი, არ აღინიშნება პროფესიული რეაბილიტაციის ხელშემშლელი თანმხლები დაავადება
- ბ) დაავადების გამოხატული ფორმა, მაგრამ ავადმყოფი სუბიექტურად თავს კარგად გრძნობს
- გ) დაავადება დაიწყო დიდი ხნის წინ, მაგრამ ავადმყოფი სისტემატურად იტარებს მკურნალობას
- დ) ავადმყოფობა ხანდაზმულია და ავადმყოფის შრომის უნარი მკვეთრად შემცირებულია

27. საექიმო-შრომითი საექსპერტო საკითხების გადაწყვეტისას მხედველობაშია მისაღები:

- ა) მხოლოდ პროფესიული დაავადების არსებობა, მისი ფორმა, გამოხატულება და კლინიკური მიმდინარეობა

ბ) მხოლოდ ძირითადი ორგანოების და სისგემების ფუნქციური მდგომარეობა

*გ) პროფესიული პათოლოგიის სახეობა და მიმდინარეობა, აგრეთვე მისი გართულებები, შორეული შედეგები და თანმხლები დაავადებები

დ) მხოლოდ ძირითადი პროფესიული დაავადებების შორეული შედეგები

28. რა შემთხვევაში აგრძელებს პროფესიული დაავადებით დასნებოვნებული ავადმყოფი მუშაობას თავის პროფესიაში

ა) თუ იგი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია

ბ) თუ ავადმყოფი იძლევა ხელწერილს, რომ იგი არ გოვებს სამუშაოს საკუთარი ნება-სურვილით

*გ) დაავადების ფორმა მსუბუქია, ნელა პროგრესირებს, ხოლო ავადმყოფობა ხანდაზმულია და ასაკობრივ პენსიაზე გასვლამდე ღარჩა ხანმოკლე პერიოდი

დ) პროფპათოლოგია მიეკუთვნება პირობით პროფესიული დაავადების ჯგუფს

29. ავადმყოფი პროფესიული შრომისთვის უვარგისია შემდეგ შემთხვევაში:

ა) პროფესიული დაავადების საწყისი ფორმაა, მაგრამ ასაკი ხანდაზმულია

ბ) ავადმყოფი ახალგაზრდაა და აქვს დრო ახალი პროფესიის ათვისებისათვის

*გ) დაავადების ფორმა მძიმეა, აღინიშნება გამოხატული ფუნქციური ღარღვევები, მკურნალობა იძლევა არამყარ და მცირე გაუმჯობესებას

დ) დაავადება მიმდინარეობს კეთილთვისებიანად, არ პროგრესირებს, მაგრამ ასაკობრივ პენსიაზე გასვლამდე ჯერ კიდევ ხანგრძლივი პერიოდია საჭირო

30. რომელი ნაწილი არ იწერება კლინიკურ დასკვნაში ჩატარებული, მიზანმიმართული პროფპათოლოგიური გამოკვლევის შემდეგ.

ა) სრული გაშლილი დიგნოზი (ძირითადი, თანმხლები დაავადებები)

ბ) დადგენილი დაავადებების კავშირი ავადმყოფის პროფესიასთან

*გ) პროფესიული ინვალიდობის ჯგუფი

დ) ავადმყოფის შრომისუნარიანობის შეფასება

31. რა საკითხი არ წყდება საექიმო-შრომითი ექსპერტიზის დროს

ა) ავადმყოფი აგრძელებს მუშაობას თავის პროფესიაში

ბ) შრომის უნარი შემლუღულია

გ) პროფესიული შრომისთვის უვარგისია

დ) შრომის უნარი მთლიანადაა დაკარგული და ავადმყოფი საჭიროებს მომვლელს

*ე) ყველა ჩამოთვლილი საკითხი საექიმო-შრომით ექსპერტიზის კომპეტენციაში შედის

32. საექიმო-შრომითი ექსპერტიზის შემდეგ გამოტანილი დასკვნა - “ავადმყოფი აგრძელებს მუშაობას თავის პროფესიაში” - საფუძველია შემდეგი რეკომენდაციისთვის

ა) ღროებით - 2 თვემდე - გადაყვანა სხვა სამუშაოზე მანერ პროფესიულ ფაქტორთან კონტაქტის შეწყვეტით

ბ) ავადმყოფის დაგოვება მის აღრეულ სამუშაოზე შრომის პირობების შემსუბუქებით

გ) ავადმყოფი აგრძელებს მუშაობას ინვალიდობის ჯგუფის განსაზღვრისა და სათანადო პენსიის დანიშვნის შემდეგ

*დ) ავადმყოფის მუშაობისაგან ღროებით განთავისუფლება ამბულატორიული, სტაციონარული ან სანიტარულ-კურორტული მკურნალობის ჩასატარებლად

33. საექსპერტო დასკვნა - “ შრომის უნარი მთლიანად დაკარულია” - საფუძველს წარმოადგენს შემდეგი რეკომენდაციისათვის

ა) ავადმყოფი დაგოვება მის აღრეულ სამუშაოზე შრომის პირობების შემსუბუქებით

ბ) ავადმყოფი აგრძელებს მუშაობას ინვალიდობის ჯგუფის განსაზღვრისა და პენსიის დანიშვნის შემდეგ

გ) ავადმყოფი გადაყვანილი იქნას სხვა სამუშაოზე მანერ პროფესიულ ფაქტორთან კონტაქტის გარეშე ხანგრძლივი ვადით

*დ) გადაყვანა პროფესიულ ინვალიდობაზე ჯგუფის განსაზღვრით და პენსიის დანიშვნით

საწარმოო მტკერით გამოწვეული სუნთქვის ორგანოების პროფესიული პათოლოგია

34. სუნთქვის ორგანოების პროფესიული პათოლოგიის ეტიოლოგიური ფაქტორებია

ა) მხოლოდ ბუნებრივი წარმოშობის საწარმოო აეროზოლები

ბ) მხოლოდ ხელოვნური წარმოშობის საწარმოო აეროზოლები

გ) მხოლოდ ღემინტეგრაციის აეროზოლები

დ) მხოლოდ კონდენსაციის აეროზოლები

*ე) სუნთქვის ორგანოების პროფესიული პათოლოგიის განვითარების მიზეზი შეიძლება იყოს ყველა ჩამოთვლილი სახის აეროზოლი

35. სუნთქვის ორგანოების პროფესიული პათოლოგიის გამოწვევის უნარი გააჩნიათ მიკროსკოპულ აეროზოლებს, რომელთა ნაწილაკების ზომაა:

ა) 10 მიკრონზე მეტი

ბ) 10-დან 20 მიკრონამდე

*გ) 0,1-დან 10 მიკრონამდე

დ) 0,1 მიკრონზე ნაკლები

36. ფილგეის ღრმა ნაწილებში უმეტესად ხვდება და კავდება

- ა) თვალით ხილული აერობოლის ნაწილაკები
- ბ) ულტრაბიკროსკოპული ნაწილაკები
- *გ) მიკროსკოპული ნაწილაკები
- დ) აერობოლების ნაწილეკების ზომას მნიშვნელობა არა აქვს

37. რა განსაზღვრავს საწარმოო მგერის ფიბროგენული მოქმედების ხარისხს

- *ა) კაემიწის შემცველობა
- ბ) მგერის გოქსიურობა
- გ) მგერის კანცეროგენულობა
- დ) მგერის ნაწილაკების ფორმა
- ე) მგერის ალერგიული მოქმედების თვისებები

38. ჩამოთვლილ კრიტერიუმებს შორის, რომელს არ ენიჭება ეტიოლოგიური ან პათოგენეზური მნიშვნელობა ფილგეების მგერისმიერი პროფესიული პათოლოგიის განვითარებაში

- ა) მგერის ფიზიკო-ქიმიურ თვისებებს
- ბ) მგერის ქიმიურ შედგენილობას
- გ) მგერის კონცენტრაციას
- *დ) ყველა ჩამოთვლილი კრიტერიუმი მნიშვნელოვანია

39. გემო სასუნთქი გზების მგერისმიერი პათოლოგიის პროფესიული ხასიათის დადგენაში ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება:

- *ა) დაავადების კლინიკურ სურათს, მის მიმდინარეობას, ფუნქციურ სინჯებს, ორგანული ცვლილებების ინტენსიურობას
- ბ) აერობოლების აგრესიულობას და კონცენტრაციას სამუშაო ზონის ჰაერში
- გ) პროფესიულ მარშრუტს
- დ) წინასწარი და პერიოდული სამედიცინო გასინჯების მონაცემებს

40. რა იწვევს კონიოგენური ბრონქიტის განვითარებას?

- ა) გამაღიზიანებელი აირები;
- ბ) წარმოების არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები;
- გ) საწარმოო ალერგენი;
- *დ) საწარმოო მგერი;
- ე) ხშირი მწვავე რესპირაციულ-ვირუსული ინფექცია.

41. რა სახის პროფესიული ბრონქიტი ვითარდება მომუშავეთა სუნთქვის სისტემაზე მაღალი კონცენტრაციის ინერტული მგერის ხანგრძლივი მოქმედების შედეგად

- *ა) საკუთრივ მგერისმიერი ბრონქიტი
- ბ) შერეული ხასიათის ბრონქიტი (ინფექციურ-მგერისმიერი)
- გ) ალერგიული ბრონქიტი
- დ) ინერტული მგერი ბრონქიტის განვითარებას არ იწვევს

42. რა სახის პროფესიული ბრონქიტი ვითარდება მგერისა და გამაღიზიანებელი ქიმიური ნივთიერების ერთდროული ხანგრძლივი მოქმედების შედეგად

- ა) გოქსიური ბრონქიტი
- ბ) ასთმური ბრონქიტი
- გ) გოქსიურ-ალერგიული ბრონქიტი
- *დ) შერეული: გოქსიურ-მგერისმიერი ბრონქიტი

43. რა სახის პროფესიული რესპირაციული დაავადება ვითარდება საწარმოო მგერში მასენსიბილიზებული კომპონენტების არსებობისას

- ა) ალერგიული რინიტი
- ბ) ალერგიული რინოფარინგიტი
- გ) ასთმური ბრონქიტი და ბრონქული ასთმა
- *დ) შესაძლებელია ჩამოთვლილი ყველა ფორმის პროფესიული პათოლოგიის განვითარება

44. კონიოგენური ბრონქიტი მწვავე დაავადებაა თუ ქრონიკული?

- ა) მწვავე და ქვემწვავე, ზოგჯერ ქრონიკული
- ბ) მხოლოდ ქვემწვავე
- *გ) მხოლოდ ქრონიკული
- დ) დასაწყისში მწვავე, არაუფექტური მკურნალობის შემთხვევაში - ქრონიკული

45. რაზეა დამოკიდებული კონიოგენური ბრონქიტის სიხშირე მომუშავე კონტინგენტს შორის?

- ა) ავადმყოფის ასაკზე
- ბ) ავადმყოფის სტატუსზე

გ) მგერის კონცენტრაციაზე სამუშაო ზონის ჰაერში

*დ) ყველა ჩამოთვლილ მანქანებელზე

46. როგორია საკუთრივ მგერისმიერი ბრონქიტის განვითარების ტემპები

*ა) ღამახასიათებელია თანდათანობითი განვითარება

ბ) ვითარდება სხვადასხვა ტემპით - სწრაფად, შედარებით ნელა, ზოგჯერ ხანგრძლივად

გ) ღამახასიათებელია სწრაფი განვითარება და გართულება

დ) დასაწყისში ვითარდება სწრაფად, შემდგომ კი ნელი პროგრესირებით ხასიათდება

47. რამდენ სტადიას გამოყოფენ საკუთრივ მგერისმიერი ბრონქიტის კლინიკურ სურათში

ა) საწყისი და გართულებების სტადია

ბ) მიმდინარეობს სტადიების გარეშე

*გ) არჩევენ სამ სტადიას

დ) არსებობს სხვადასხვა კლასიფიკაცია

48. კონიოგენური ბრონქიტის განვითარებისას სამრეწველო აეროზოლები მოქმედებენ:

ა) ბრონქ-ფილტვითა მუკოცილიარულ ტრაქტსა და ნერვულ-რეფლექსურ აპარატზე

ბ) ალგილობრივ იმუნიტეტსა და ბრონქთა სეკრეციულ-ევაკუაციურ ფუნქციაზე

გ) ფილტვების ენდოკრინულ აპარატზე

*დ) ყველა ჩამოთვლილ სისტემაზე

49. რას ენიჭება წამყვანი როლი კონიოგენური ბრონქიტის განვითარების პათოგენეზში

*ა) ბრონქთა სეკრეციული და ევაკუაციური ფუნქციის პირველად დაზიანებას

ბ) წინამორბედ მწვავე რესპირაციულ-ვირუსული ინფექციის გადატანას

გ) იმუნური სისტემის დეფიციტს

დ) მემკვიდრეობით ფაქტორს

50. როგორია მგერისმიერი ბრონქიტის კლინიკური მიმდინარეობა

ა) სპეციფური: ჩივილებისა და თბიქტური ცვლილებების ერთგვაროვანი გამოვლინებით

*ბ) მეტად ვარიანტული მგერის სახეობისა და საწარმოში თანმხლები ფაქტორების ნაირფეროვნების გამო

გ) დაავადება ხასიათდება “ნეგატიური” კლინიკური სიმპტომატიკით, წლების მანძილზე უსიმპტომოდ მიმდინარეობს

დ) დაავადება დასაწყისში ვითარდება ჩივილების გარეშე, მოგვიანებით კი ერთგვაროვანი მიმდინარეობით ხასიათდება

51. რომელი ტრიადა იძლევა საფუძველს კონიოგენური ბრონქიტის დიაგნოზის დასადგენად?

ა) ახგრძლივი კონტაქტი მგერის ნებისმიერ კონცენტრაციასთან, მუშობა არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში, მწვავე რესპირაციულ-ვირუსული ინფექციის გადატანა

*ბ) ხანგრძლივი კონტაქტი საწარმოო მგვერთან, ბრონქიტის კლინიკური სურათი, დაავადების თანდათანობით დაწყება მწვავე რესპირაციული დაავადებების გადატანის გარეშე;

გ) პერიოდული კონტაქტი საწარმოო მგვერთან, პნევმონიის გადატანა, ბრონქიტის კარგად გამოხატული კლინიკური სურათი;

დ) მგერის მაღალი კონცენტრაცია სამუშაო ზონის ჰაერში, ხანგრძლივი მუშაობის სტაჟი აღნიშნულ პირობებში, ხშირი პნევმონიები მუშაობის დაწყებისთანავე;

ე) ხანმოკლე მუშაობის სტაჟი, მგერის ზომიერი კონცენტრაცია სამუშაო ზონის ჰაერში, ერთჯერადად გადატანილი პნევმონია, რომლის შემდეგაც განვითარდა ბრონქიტის მოვლენები მუშაობის დაწყებისთანავე.

52. რა არსებითი განსხვავებაა კონიოგენური ეგიოლოგიისა და სხვა გენეზის ქრონიკული ბრონქიტის კლინიკურ სურათში?

ა) კონიოგენური ბრონქიტი თავიდანვე მძიმე მიმდინარეობით ხასიათდება;

ბ) კონიოგენური ბრონქიტის დროს აღინიშნება დიდი რაოდენობით ნახველის გამოყოფა;

გ) კონიოგენური ბრონქიტი ნელა პროგრესირებს;

*დ) კლინიკური განსხვავება არ არსებობს;

ე) კონიოგენური ბრონქიტი ხშირად რთულდება ბრონქოგენური სიმსივნით.

53. ჩამოთვალეთ ფიზიკალური ფენომენები კონიოგენური ბრონქიტის დასაწყისში

ა) პერკუსიით კოლოფისებრი ელფერი გულმკერდის ბაზალურ არეში, აუსკულტაციით - ვეზიკულური სუნთქვა

ბ) პერკუსიით კოლოფისებრი ხმა, აუსკულტაციით - გაფანტული მშრალი ხიხინი დიდი რაოდენობით

*გ) პერკუსიით ცვლილებები არ აღინიშნება, აუსკულტაციით ვეზიკულური ან მკვერივი სუნთქვა, პერიოდულად მშრალი ხიხინი

დ) პერკუსიით ალაგ-ალაგ მოყრუება, აუსკულტაციით ერთეული სველი ხიხინი

54. რა იგულისხმება “გალიმიანების ბრონქიტის” ცნებაში მგერისმიერი ბრონქიტის ჩამოყალიბების პროცესში

*ა) კლინიკამდელი პერიოდი, ანუ წინაბრონქიტი

ბ) დაავადების პირველი სტადია

გ) ტერმინი საღავთა და ზუსტი განმარტება არ არსებობს

დ) დაავადების გამოხატული პერიოდი

55. როგორ ვითარდება კლინიკურად მგერისმიერი ბრონქიტის I სტადია

- *ა) არაობსგრუქციული გიპის კეთილთვისებიანი ენდობრონქიტის სახით
- ბ) ბრონქოსპაზმის სინდრომით, რაც პასუხს წარმოადგენს მგერის ნაწილაკებით ბრონქთა ლორწოვანი გარსის გაღიზიანებაზე
- გ) ფილტვების ვენტილაციის გამოხატული დარღვევის სახით - ე.წ. "სარქველოვანი მექანიზმის" მანიფესტაციით
- დ) პირველ სტადიაში დამახასიათებელია უსიმპტომო მიმდინარეობა ე.წ. "ნეგატიური კლინიკა"

56. ოდის ვლინდება პირველად "სარქველოვანი მექანიზმები" მგერისმიერი ბრონქიტით დაავადებულთა შორის

- ა) "გაღიზიანების ბრონქიტის" გამოვლინების პერიოდში
- *ბ) დაავადების II სტადიაში
- გ) დაავადების III სტადიაში
- დ) ინფექციით გართულების შემთხვევაში

57. რა სახით ვლინდება კლინიკურად საკუთრივ მგერისმიერი ბრონქიტის II სტადია

- *ა) გამოხატული ხველა, ხშირად ბრონქთა სპაზმით "სარქველოვანი მექანიზმის", "ჰაერის ხაფანგის" ნიშნებით
- ბ) მცირედ გამოხატული ხველა უნახველოდ წელიწადის ცივ და გარდამავალ პერიოდებში
- გ) არაობსგრუქციული გიპის კეთილთვისებიანად მიმდინარე ენდობრონქიტის სახით
- დ) I და II სტადიებს შორის განსხვავება ვლინდება მხოლოდ გარეგანი სუნთქვის ფუნქციის მონაცემებით

58. რა კლინიკური თავისებურებებით ხასიათდება მგერისმიერი ბრონქიტის გერმინალური ანუ მესამე სტადია:

- *ა) სუნთქვის მკვეთრი გაძნელება, სულისხუთვის შეგუვები, მუღმივი ხასიათის ხველა ნახველით, არასპეციფიური ინგოუსიკაციის ნიშნები, უხვი სტეტი-აკუსტიკური და რენტგენოლოგიური ცვლილებები, სუნთქვის უკმარისობა, ფილტვისმიერი გულის ჩამოყალიბება, რემისია არ აღინიშნება
- ბ) დაავადება იფარგლება მეორე სტადიით: გამოხატულია ხველა ნახველით, სუნთქვის გაძნელება, "სარქველოვანი მექანიზმის", "ჰაერის ხაფანგის" სიმპტომები
- გ) დაავადება მიმდინარეობს ბრონქთა სპაზმის მოვლენებით, რემისიებს შორის პერიოდი ხანმოკლეა, მიმდინარეობა მძიმდება წელიწადის ცივ და გარდამავალ პერიოდში
- დ) დაავადება რთულდება ფილტვების ტუბერკულოზით

59. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტთა დასკვნით, ქრონიკული ბრონქიტის დიაგნოზის დასმის მთავარი და აუცილებელი პირობაა ე.წ. მყარი "ხველის ანამნეზი" ანუ:

- *ა) ორწლიანი დინამიკური დაკვირვების შედეგები - ამ პერიოდში ხველა პერიოდულად იჩენს თავს და მისი ჯამური ხანგრძლივობა 3 თვე და მეტია
- ბ) ერთწლიანი დინამიკური დაკვირვების შედეგად ვითარდება პერიოდული ხველა, ჯამური ხველით არანაკლებ 2 თვისა
- გ) ხუთწლიანი დინამიკური დაკვირვებით ვლინდება ყოველწლიური ხველება ზამთრის პერიოდში
- დ) სამი წლის განმავლობაში ავადმყოფს აღენიშნება პერიოდული ხველა, რომელის ჯამური ხანგრძლივობა 1 თვეა

60. პნევმოკონიოზი - ფილტვების პროფესიული დაავადებაა. რა ფორმით მიმდინარეობს პათოლოგიური პროცესი?

- ა) მხოლოდ მწვავედ;
- ბ) ქვემწვავედ;
- *გ) მხოლოდ ქრონიკულად;
- დ) შესაძლებელია სხვადასხვა ვარიანტი.

61. რომელი მავნე პროფესიული ფაქტორი იწვევს პნევმოკონიოზის განვითარებას?

- ა) მაიონებელი გამოსხივება;
- ბ) საწარმოო ვიბრაცია;
- გ) დაბალი ატმოსფერული წნევა;
- დ) ნებისმიერი მგვერი;
- *ე) საწარმოო მგვერი.

62. რაში მდგომარეობს პნევმოკონიოზის არსი?

- ა) ფილტვის ქსოვილის დაჩირქება;
- ბ) ფილტვის ანთება;
- *გ) ფილტვების ფიბროზი;
- დ) ფილტვის ქსოვილის ნეკროზი.

63. როგორია პნევმოკონიოზის დროს პათოლოგიური პროცესის გავრცელება?

- ა) მხოლოდ ცალმხრივი;
- *ბ) მხოლოდ ორმხრივი და სიმეტრიული;
- გ) ორმხრივი არასიმეტრიული;
- დ) შესაძლებელია ცალმხრივიც და ორმხრივიც.

64. ფილტვის რომელი უბნიდან იწყება პათოლოგიური პროცესი პნევმოკონიოზის დროს?

- ა) ბუღა;
- *ბ) შუა;
- გ) ქვედა;

დ) შესაძლებელია სხვადასხვა ვარიანტი

65. პნევმოკონიოზების ეტიოლოგიური პრინციპით კლასიფიკაცია გულისხმობს შემდეგი ჯგუფების გამოყოფას:

- ა) სილიკოზი; სილიკატოზები, ამბუსტოზი, ტალოკოზი, ოლივიტოზი, ანთრაკოზი
- ბ) სილიკოზი, სილიკატოზები, კარბოკონიოზი, შერეული მტვრით გამოწვეული პნევმოკონიოზი, ბისინოზი
- გ) სილიკოზი, სილიკატოზები, ორგანული მტვრით გამოწვეული პნევმოკონიოზები; მეტალოკონიოზები
- *დ) სილიკოზი; სილიკატოზები; მეტალოკონიოზები; კარბოკონიოზები; შერეული მტვრით გამოწვეული პნევმოკონიოზები; ორგანული მტვრით გამოწვეული პნევმოკონიოზები

66. ხლებური თანამედროვე წარმოდგენა პნევმოკონიოზის შესახებ:

- *ა) პნევმოკონიოზი ქრონიკული დიფუზური მტვრისმიერი პნევმოტიფი ფილტვების ფიბროზის განვითარებით
- ბ) პნევმოკონიოზი იწყება არაგუბერკულოზური ინფექციის აქტიური მონაწილეობით, რაც პნევმოსკლეროზის განვითარებას იწვევს
- გ) მტვრისმიერი პნევმოსკლეროზის ჩამოყალიბებაში პნევმოკონიოზის განვითარებაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ლაგენგურად მიმდინარე გუბერკულოზურ პროცესს ენიჭება
- დ) პნევმოკონიოზი აუტონომური დაავადებაა და თავს იჩენს მხოლოდ გენეტიკურად განწყობილ პირებში

67. როგორია თანამედროვე მიდგომა პნევმოკონიოზების კლასიფიკაციის აღმ?

- *ა) საჭიროებს გადახედვას და დახვეწას
- ბ) არსებული კლასიფიკაცია გადახედვას არ საჭიროებს
- გ) პნევმოკონიოზების კლასიფიკაცია ეტიოლოგიური პრინციპით მისაღებია, თუ ამ კლასიფიკაციიდან ამოღებული იქნება ორგანული მტვრით გამოწვეული პნევმოკონიოზების ჯგუფი

68. თანამედროვე შეხედულებით პნევმოკონიოზების დაყოფა ეტიოლოგიური პრინციპით 3 ჯგუფად გულისხმობს:

- *ა) 1) მაღალფიბროგენული მტვრის მოქმედებით გამოწვეული პნევმოკონიოზები; 2) მცირეფიბროგენული მტვრის მოქმედებით გამოწვეული პნევმოკონიოზები 3) გოქსიურ-ალერგიული მოქმედების აეროზოლებით გამოწვეული პნევმოკონიოზები
- ბ) 1) სილიკოზი 2) სილიკატოზები 3) მეტალოკონიოზები
- გ) სილიკოზი 2) სილიკატოზი 3) ანთრაკოზები
- დ) სილიციუმის შემცველი მტვრით გამოწვეული პნევმოკონიოზები 2) ორგანული მტვრით გამოწვეული პნევმოკონიოზები 3) შერეული მტვრით გამოწვეული პნევმოკონიოზები

69. რომელ მექანიზმს ენიჭება გადაწყვეტი როლი პნევმოკონიოზის განვითარებაში?

- ა) მტვრის მექანიკური მოქმედება, გაღიზიანება;
- ბ) მტვრის გოქსიური მოქმედება სასუნთქი სისტემის ქსოვილებზე;
- გ) მტვრის ხსნალობა;
- დ) მტვრის მათონებელი გამოსხივების უნარი;
- *ე) მტვრის ჰაპტენური თვისება და იმუნოლოგიური ძვრების გამოწვევის უნარი.

70. როგორ დამოკიდებულებაშია ორგანიზმის ფაგოციტური რეაქციის ინტენსივობა პნევმოკონიოზის განვითარების შესაძლებლობასთან?

- *ა) ძლიერი ფაგოციტური რეაქცია პნევმოკონიოზის განვითარების ნაკლებ საშიშროებას ქმნის;
- ბ) პნევმოკონიოზი ნაკლებად ვითარდება ნორმალური ფაგოციტოზის რეაქციის დროს;
- გ) სუსტი ფაგოციტური რეაქციის დროს პნევმოკონიოზის განვითარების საშიშროება მცირეა.

71. რა ზომის ნაწილაკებია განსაკუთრებით პათოგენური პნევმოკონიოზის განვითარების თვალსაზრისით?

- ა) 0,25 მიკრონზე ნაკლები ზომის;
- *ბ) 0,25-0,5 მიკრონის ზომის;
- გ) 0,5 მიკრონზე მეტი ზომის

72. რა მიმართულებით ხდება ფილტვებში შემავრთებული ქსოვილების განვითარება პნევმოკონიოზის დროს?

- ა) ზემოდან ფილტვის შუა უბნისაკენ და შემდეგ ქვედა უბნებში;
- ბ) ზემოდან უშუალოდ ფილტვის ქვედა უბანში;
- გ) ფილტვის ქვედა უბნიდან შუა უბნისაკენ და შემდგომ მწვერვალისაკენ;
- დ) ფილტვების ქვედა უბნიდან უშუალოდ ფილტვის მწვერვალისაკენ;
- ე) ფილტვის შუა უბნიდან მწვერვალისაკენ და შემდეგ ქვედა უბნებში;
- *ვ) ფილტვის შუა უბნიდან ქვემო უბნებში და შემდგომ მწვერვალისაკენ.

73. ჩივილების რომელი გრიადაა დამახასიათებელი პნევმოკონიოზისათვის?

- ა) შემცივნება, სუბფერული გემპერაგურა, ოფლიანობა;
- ბ) შეგვეითი ხასიათის სუნთქვის გაძნელება, გულის ფრიალი, არტერიული წნევის მომატება;
- *გ) ქოშინი, ხველა, ტკივილი გულმკერდის არეში;
- დ) უპირატესად დამის ხველა, სისხლიანი ნახველი, წონაში კლება.

74. რა ობიექტური სიმპტომატიკა ახასიათებს პნევმოკონიოზის გამოხატულ ფორმას?

- ა) მხოლოდ მოყრეუბა და ბრონქული სუნთქვა;
- ბ) მხოლოდ კოლოფისებური ხმა და შესუსტებული სუნთქვა;
- გ) მხოლოდ ფილტვის ხათელი ხმა და მშრალი ხიხინი;
- *დ) ნაირფეროვანი პერკუტორული და აუსკულტაციური ფენომენები - მოზაიკურობა.

75. რის საფუძველზე წყდება პნევმოკონიოზის საბოლოო დიაგნოზი?

- ა) პროფესიული ბიოგრაფიის შესწავლა;
- ბ) სისხლის ბიოქიმიური გამოკვლევა;
- გ) გულმკერდის რენტგენოსკოპია;
- *დ) გულმკერდის რენტგენოგრაფია;
- ე) ფილტვების ექსკოპია;
- ვ) ნახველის გამოკვლევა;
- ზ) გარეგანი სუნთქვის ფუნქციის განსაზღვრა.

76. რამდენ სტადიას განასხვავებენ პნევმოკონიოზის განვითარებაში?

- ა) ორი;
- *ბ) სამი;
- გ) ოთხი;
- დ) ხუთი.

77. პნევმოკონიოზის რომელი რენტგენომორფოლოგიური ფორმა ვითარდება უფრო მძიმედ?

- *ა) მსხვილკვანძოვანი;
- ბ) ლიფუზურ-სკლეროზული;
- გ) წვრილკვანძოვანი;
- დ) შერეული.

78. პნევმოკონიოზის რომელ რენტგენო-მორფოლოგიურ ფორმას ახასიათებს სიმსივნისებური კლინიკური ვარიანტი?

- ა) ლიფუზურ-სკლეროზულ ფორმას;
- *ბ) კვანძოვან ფორმას;
- გ) შერეულ ფორმას

79. რამდენ სტადიას არჩევენ პნევმოკონიოზის განვითარების დინამიკაში რენტგენოლოგიური ცვლილებების მიხედვით:

- ა) პნევმოკონიოზის მიმდინარეობის მიხედვით სტადიურობას განაპირობებს კლინიკური სურათი
- ბ) რენტგენოლოგიურად პნევმოკონიოზის ორ სტადიას განასხვავებენ
- *გ) სამ სტადიას
- დ) რენტგენოლოგიურად განისაზღვრება ძირითადად პნევმოკონიოზის ხუთი სტადია

80. რამდენ კატეგორიად იყოფა ფილტვებში რენტგენოლოგიურად გამოვლენილი დაჩრდილვები პნევმოკონიოზის დროს:

- *ა) ორი - პაგარა და დიდი
- ბ) სამი - მცირე, საშუალო და დიდი
- გ) ოთხი - მცირე, საშუალო, დიდი, მასიური
- დ) ორი - მკვეთრად გამოხატული, სუსტად გამოხატული

81. პნევმოკონიოზის დროს რენტგენოლოგიურად გამოვლენილი დაჩრდილვის ზომების მიხედვით არჩევენ რამდენიმე გრადაციას:

- *ა) სამს - დიამეტრში: 1) 1,5-მმ-მდე; 2) 1,5-მმ-დან 3 მმ-მდე; 3) 3-მმ-დან 10 მმ-მდე
- ბ) სამს - დიამეტრში: 1) 0,5-მმ-მდე; 2) 0,5-მმ-დან 5 მმ-მდე; 3) 5-მმ-ზე მეტი
- გ) სამს - დიამეტრში 1) 1-2 მმ; 2) 3-5 მმ, 3) 5-10 მმ
- დ) ორს - დიამეტრში 1) 10 მმ-მდე, 2) 10 მმ-ზე მეტი

82. პნევმოკონიოზის რენტგენოლოგიურ სურათში პაგარა დაჩრდილვების ინტენსივობის სიმჭიდროვე ანუ კონცენტრაცია ფილტვის ველის კვადრატულ სმ-ზე ხასიათდება რამდენიმე კატეგორიით

- ა) ორი: 1) საშუალო რაოდენობის მცირე ზომის დაჩრდილვა, ფილტვების ბრონქ-სისხლძარღვთა სურათის დიფერენცირება შეუძლებელია, 2) მრავალრიცხოვანი მცირე ზომის დაჩრდილვები, ფილტვების ბრონქ-სისხლძარღვთა სურათი არ დიფერენცირდება
- ბ) ორი: 1) ერთეული მცირე ზომის დაჩრდილვა, ფილტვების ბრონქ-სისხლძარღვთა სურათი დიფერენცირდება ნაწილობრივ ; 2) მრავალრიცხოვანი მცირე ზომის დაჩრდილვა, ფილტვების ბრონქ-სისხლძარღვთა სურათი არ დიფერენცირდება
- *გ) სამი: 1) ერთეული მცირე ზომის დაჩრდილვა, ფილტვების ბრონქ-სისხლძარღვთა სურათი დიფერენცირდება; 2) მცირერიცხოვანი პაგარა ზომის დაჩრდილვები, ფილტვების ბრონქ-სისხლძარღვთა სურათი დიფერენცირდება ნაწილობრივ; 3) მრავალრიცხოვანი მცირე ზომის დაჩრდილვა, ფილტვების ბრონქ-სისხლძარღვთა სურათი არ დიფერენცირდება
- დ) სამი: 1) დაჩრდილვები მცირერიცხოვანია, ფილტვების ბრონქ-სისხლძარღვთა სურათი არ დიფერენცირდება; 2) დაჩრდილვების რიცხვი საშუალო რაოდენობითაა, ფილტვების ბრონქ-სისხლძარღვთა სურათი არ დიფერენცირდება; 3) მცირე ზომის დაჩრდილვები დიდი რაოდენობითაა, ფილტვების ბრონქ-სისხლძარღვთა სურათი არ დიფერენცირდება

83. პნევმოკონიოზის რენტგენოგრაფიაზე დიდი ღაჩრდილეები დაზიანების ზომების მიხედვით აღინიშნება სიმბოლოებით A, B და ჩ.

ა) A - საშუალო რაოდენობის ღაჩრდილეა დიამეტრით 5-10 სმ, ან რამდენიმე ღაჩრდილეა, რომელთა ჯამური დიამეტრი 10 სმ-ს არ აღემატება; B - საშუალო რაოდენობის ღაჩრდილეა, რომლის დიამეტრი არ უნდა აღემატებოდეს 15 სმ-ს; ჩ - ერთი დიდი ღაჩრდილეა, რომლის დიამეტრი აღემატება 15 სმ-ს

ბ) A - ერთეული ღაჩრდილეა დიამეტრით 5-7 სმ; B - ერთეული ღაჩრდილეა დიამეტრით 10-15 სმ; ჩ - რამდენიმე ღაჩრდილეა, რომელთა ზომა აღემატება 15 სმ-ს

*გ) A - ცალკეული ან ერთეული ღაჩრდილეა დიამეტრით 1-დან 5 სმ-მდე, ან რამდენიმე ღაჩრდილეა, რომელთა ჯამური დიამეტრი არ უნდა აღემატებოდეს 5 სმ-ს. B - ერთი ან რამდენიმე დიდი ღაჩრდილეა, რომელთა ზომა არ უნდა აღემატებოდეს მარჯვენა ფილგის ზედა წილს ანუ დიამეტრით 10 სმ-მდე; ჩ - ერთი ან რამდენიმე დიდი ღაჩრდილეა, რომელთა ზომა დიამეტრში აღემატება 10 სმ-ს

84. გამოკვლევის რომელი მეთოდი იძლევა საშუალებას დამატებით განისაზღვროს რენტგენოლოგიურად დადგენილი პნევმოკონიოზის სიმძიმე?

ა) ფილგების ექსკოპია;

ბ) სისხლში სილიციუმის დიოქსიდის კონცენტრაციის განსაზღვრა;

*გ) გარეგანი სუნთქვის ფუნქციის განსაზღვრა და ოქსიჰემოგრაფია;

დ) ფილგების კომპიუტერული ტომოგრაფია.

85. ისაზღვრება თუ არა გარეგანი სუნთქვის ფუნქცია სასუნთქი სისტემის პროფესიული დაავადების განვითარებისას

*ა) განსაზღვრა აუცილებელია

ბ) არ განისაზღვრება

გ) განსაზღვრა იშვიათად წარმოებს, ჩვენებისდა მიხედვით

დ) საკითხი სადავოა

86. რა მიზით წარმოებს გარეგანი სუნთქვის ფუნქციის განსაზღვრა რესპირაციული სისტემის პროფესიული დაავადების დროს

*ა) სასუნთქი სისტემის ფუნქციური მდგომარეობის, მკურნალობის ეფექტურობის, დაავადების მიმდინარეობის დასადაგენად

ბ) გარეგანი სუნთქვის ფუნქცია არ განისაზღვრება, საკმარისია ოქსიჰემოგრაფიის ჩატარება

გ) მხოლოდ შრომისუნარიანობის განსაზღვრის მიზნით

დ) მიზანი ერთია: სამკურნალოწამლო საშუალებების რაციონალური შერჩევა

87. იძლევა თუ არა გარეგანი სუნთქვის ფუნქციის განსაზღვრა საშუალებას ვიმსჯელოთ რესპირაციული სისტემის პათოლოგიის ხასიათზე (ფუნქციურია თუ ორგანული)?

ა) საკითხი სადავოა

ბ) განსაზღვრა შეუძლებელია

*გ) საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ: პროცესი უპირატესად ფუნქციურ ხასიათს ატარებს, თუ ორგანულს

დ) შეიძლება მხოლოდ ფუნქციური ღარღვევის დადაგენა

88. გარეგანი სუნთქვის ფუნქციის რა მაჩვენებლებია შემცირებული უპირატესად რესტრიქციული ტიპის დაქვეითების შემთხვევაში

ა) ფილგების მაქსიმალური ვენტილაცია, ფილგების სასიცოცხლო ტევადობა

ბ) ტიფნოს ინდექსი, ჰენსლერის კოეფიციენტი

გ) სუნთქვის დრო, სუნთქვის სიხშირე

*დ) ფილგების სასიცოცხლო ტევადობა, ამოსუნთქვის მაქსიმალური სიჩქარე და ჩასუნთქვის მაქსიმალური სიჩქარე - ფარმაკოლოგიურ სინჯამდე და სინჯის შემდეგ

89. რა მაჩვენებლებია შემცირებული უპირატესად ობსტრუქციული ტიპის გარეგანი სუნთქვის ფუნქციის დაქვეითების შემთხვევაში

ა) ფილგების სასიცოცხლო ტევადობა, სუნთქვის სიხშირე, სუნთქვის დრო

*ბ) ტიფნოს ინდექსი, ფილგების მაქსიმალური ვენტილაცია, ამოსუნთქვის მაქსიმალური სიჩქარე ფარმაკოლოგიურ სინჯამდე

გ) ფილგების სასიცოცხლო ტევადობა, ჩასუნთქვის მაქსიმალური სიჩქარე ფარმაკოლოგიური სინჯის შემდეგ

დ) ფილგების მაქსიმალური ვენტილაცია, ფილგების სასიცოცხლო ტევადობა, ჩასუნთქვის დრო

90. რა შემთხვევაში განისაზღვრება შერეული ტიპის გარეგანი სუნთქვის ფუნქციის დაქვეითება

*ა) დაქვეითებულია: ფილგების სასიცოცხლო ტევადობა, ამოსუნთქვის და ჩასუნთქვის მაქსიმალური სიჩქარე - როგორც ფარმაკოლოგიურ სინჯამდე, ისე სინჯის შემდეგ, ფილგების მაქსიმალური ვენტილაცია, ტიფნოს ინდექსი

ბ) დაქვეითებულია მხოლოდ ტიფნოს ინდექსი და მომაგებულია სუნთქვის სიხშირე

გ) მომაგებულია ფილგების მაქსიმალური ვენტილაცია, დაქვეითებულია ტიფნოს ინდექსი, შემცირებულია სუნთქვის დრო, მომაგებულია ფილგების სასიცოცხლო ტევადობა

91. რა მაჩვენებლებია განისაზღვრება პნევმოტაქოგრაფიის ჩატარებისას

*ა) ამოსუნთქვის და ჩასუნთქვის მაქსიმალური სიჩქარე

ბ) ფილგების მაქსიმალური ტევადობა, ფილგების მაქსიმალური ვენტილაცია

გ) სასუნთქი, დამატებითი, სარემერეო და ნარჩენი ჰაერის მოცულობა

დ) გიფნოს ინდექსი, ჰენსლერის კოეფიციენტი, სუნთქვის სიხშირე

92. რომელი მაჩვენებლები განისაზღვრება სპიროგრაფიის დროს

ა) სუნთქვის სიხშირე და სუნთქვის დრო

ბ) ფილტვების საციოცხლო ტევადობა ცალკეული მოცულობებით (სასუნთქი, დამატებითი, სარეზერვო ჰაერი), ფილტვების მაქსიმალური ვენტილაცია

გ) გიფნოს ინდექსი, ჰენსლერის კოეფიციენტი, ანტონის ინდექსი

*დ) ყველა ჩამოთვლილი მაჩვენებლები

93. გამოსაკვლევი პირის რომელ მაჩვენებლებს ექცევა ყურადღება სპიროგრაფიული და პნევმოტაქომეტრიული მაჩვენებლების გამოთვლისას

*ა) ავადმყოფის სქესი, წონა, სიმაღლე, ასაკი

ბ) ავადმყოფის კონსტიტუციური აღნაგობა - ჰიპერსტენული, ნორმოსტენიული, ასტენიური

გ) გამოსაკვლევის პირის პულსის და სუნთქვის სიხშირე

დ) არტერიული და ვენური წნევის დონე

94. რას გამოხატავს კოეფიციენტი “სუნთქვის დრო” გარეგანი სუნთქვის ფუნქციის განსაზღვრისას

*ა) შეფარდებას “ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა”, რომელიც ნორმალურად 1,0-ზე ნაკლები უნდა იყოს

ბ) შეფარდებას ფილტვების მაქსიმალურ ვენტილაციასა და ფილტვების სასაციოცხლო ტევადობას შორის, რომელიც ნორმაში არ უნდა აღემატებოდეს 120%-ს

გ) შეფარდებას ფილტვების სასაციოცხლო ტევადობის ფაქტობრივ და კუთვნილ სიდიდეებს შორის, რაც ჯანმრთელ პირებში არ უნდა იყოს 80%-ზე ნაკლები

დ) სუნთქვის სიხშირეს ერთ წუთში

95. რა მაჩვენებელია სუნთქვის წუთმოცულობა და რას ასახავს იგი გარეგანი სუნთქვის ფუნქციის განსაზღვრისას ბრონქ-ფილტვთა პროფესიული დაავადებების დროს

*ა) სასუნთქი ჰაერის ანუ სუნთქვის სიღრმის ნამრავლი სუნთქვის სიხშირეზე, რომელიც ასახავს ფილტვების ვენტილაციას ერთ წუთში

ბ) შეფარდებას ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის ფაზებს შორის და ასახავს სუნთქვის აქტის ცალკეული ფაზების აქტიურობას

გ) ამოსუნთქული ჰაერის მოცულობას პირველი წამის განმავლობაში ფორსირებული ამოსუნთქვის დროს

დ) ამოსუნთქულ ჰაერს სამი წამის განმავლობაში ფორსირებული ამოსუნთქვის დროს

96. რა არის პნევმოკონიომის ნელა პროგრესირება?

ა) პათოლოგიური პროცესი აღმოცენდა საწარმოო მგვერთან კონტაქტში მუშაობის დაწყებიდან 3-5 წლის შემდეგ;

*ბ) ფილტვების ფიბროზი გამოვლინდა საწარმოო მგვერთან კონტაქტში მუშაობის დაწყებიდან 10-15 წლის შემდეგ;

გ) დაავადება გამოვლინდა ფიბროგენულ მგვერთან კონტაქტის შეწყვეტიდან რამდენიმე წლის შემდეგ.

97. რა შემთხვევაში ისმება სწრაფად პროგრესირებადი პნევმოკონიომის დიაგნოზი?

*ა) დაავადება თავს იჩენს საწარმოო მგვერთან კონტაქტში მუშაობის დაწყებიდან 3-5 წლის შემდეგ;

ბ) ფილტვების ფიბროზი ვლინდება საწარმოო მგვერთან კონტაქტში მუშაობის დაწყებიდან 10-15 წლის შემდეგ;

გ) დაავადება ვლინდება ფიბროგენულ მგვერთან კონტაქტის შეწყვეტიდან რამდენიმე წლის შემდეგ

98. რა არის მოგვიანებითი პნევმოკონიომი?

ა) დაავადება იჩენს თავს საწარმოო მგვერთან კონტაქტში მუშაობის დაწყებიდან 15-20 წლის შემდეგ;

ბ) ფილტვების ფიბროზი ვლინდება საწარმოო მგვერთან კონტაქტში მუშაობის დაწყებიდან 30 წლის შემდეგ;

*გ) პათოლოგიური პროცესი თავს იჩენს საწარმოო მგვერთან კონტაქტის შეწყვეტიდან რამდენიმე წლის შემდეგ;

დ) დაავადება ვლინდება მხოლოდ ჩივილების სახით და რენტგენოლოგიურ ცვლილებებს აღვივებს არ აქვს.

99. რომელი პნევმოკონიომის დროს აღინიშნება უფრო ხშირად და მნიშვნელოვნად პლევრის დაზიანება

ა) სილიკოზი

ბ) ბისინოზი

გ) მეტალოკონიოზები

*დ) ამბესტოზი

100. პნევმოკონიომის არაგუბერკულოზური გართულებებია:

ა) ფილტვის განგრენა, ფილტვის აბსცესი, ფილტვების კანდიდოზიკოზი,

*ბ) პნევმონია, ბრონქოექტაზიური დაავადება, ბრონქული ასთმა, ფილტვის კიბო, პნევმოთორაქსი, ფილტვისმიერი გული

გ) ექსუდაციური პლევრიტი, ფილტვის აბსცესი, ლეიშმანის ციროზი

დ) ჰეპატო-ლინური სინდრომი, რკინაღუფიციტური ანემია, ფილტვების მწვავე შეშუპება, ბრონქიოლიტი

101. პნევმოკონიომის ყველაზე ხშირი და მძიმე გართულებაა

ა) ფილტვის კიბო

*ბ) ფილტვების გუბერკულოზი

გ) ქრონიკული მარეციდივებული პნევმონია

დ) ფილგვისმიერი გული

102. პნევმოკონიოზის განვითარების რომელ პერიოდში გვხვდება ფილგვის გუბერკულოზი?

- ა) გუბერკულოზი წინ უსწრებს პნევმოკონიოზის განვითარებას;
- ბ) გუბერკულოზური და პნევმოკონიოზური პროცესი ვითარდება ერთდროულად;
- გ) გუბერკულოზი პნევმოკონიოზის დროს საერთოდ არ გვხვდება;
- *დ) პნევმოკონიოზი რთულდება ფილგვის გუბერკულოზით;
- ე) გუბერკულოზი პნევმოკონიოზის დროს მხოლოდ თანმხლებ პათოლოგიას წარმოადგენს.

103. გვხვდება თუ არა ფილგვისმიერი გული პნევმოკონიოზის დროს?

- ა) გვხვდება და პნევმოკონიოზის განვითარებას წინ უსწრებს;
- *ბ) გვხვდება როგორც პნევმოკონიოზის გართულება;
- გ) გვხვდება როგორც გულის თანმხლები პათოლოგიის გართულება;
- დ) საერთოდ არ გვხვდება.

104. გვხვდება თუ არა პნევმოკონიოზის დროს ფილგვის კიბო?

- *ა) გვხვდება როგორც პნევმოკონიოზის გართულება;
- ბ) იშვიათია და წარმოადგენს თანმხლებ დაავადებას;
- გ) არ გვხვდება.

105. არის თუ არა რაიმე კავშირში პნევმოკონიოზი და პროფესიული ბრონქული ასთმა?

- ა) არ არის;
- ბ) ბრონქული ასთმა წინ უსწრებს პნევმოკონიოზის განვითარებას;
- გ) ბრონქული ასთმა პნევმოკონიოზის დროს თანმხლები დაავადებაა;
- *დ) პნევმოკონიოზი რთულდება ბრონქული ასთმით.

106. გვხვდება თუ არა პნევმონია პნევმოკონიოზის დროს?

- *ა) გვხვდება გართულების სახით;
- ბ) არ გვხვდება;
- გ) პნევმონია წინ უსწრებს პნევმოკონიოზის განვითარებას;
- დ) პნევმონია თანმხლები პათოლოგიაა.

107. არსებობს თუ არა რაიმე კავშირი ფილგვის განგრენასა და პნევმოკონიოზს შორის?

- ა) ფილგვის განგრენა წინ უსწრებს პნევმოკონიოზის განვითარებას;
- ბ) ფილგვის განგრენა პნევმოკონიოზის თანმხლებ პათოლოგიას წარმოადგენს;
- *გ) არ არსებობს;
- დ) პნევმოკონიოზი ფილგვის განგრენით რთულდება.

108. გვხვდება თუ არა ბრონქოექტაზიური დაავადება პნევმოკონიოზის დროს?

- ა) არ გვხვდება;
- ბ) იგი წინ უსწრებს პნევმოკონიოზის განვითარებას;
- გ) ორივე დაავადება ვითარდება პარალელურად და დამოუკიდებლად;
- *დ) პნევმოკონიოზი ბრონქოექტაზიური დაავადებით რთულდება.

109. შესაძლებელია თუ არა პნევმოტორაქსის განვითარება პნევმოკონიოზის დროს?

- ა) გამორიცხულია;
- *ბ) შესაძლებელია გართულების სახით;
- გ) პნევმოტორაქსი რთულდება პნევმოკონიოზით;
- დ) პნევმოტორაქსის განვითარება პნევმოკონიოზის ფონზე შესაძლებელია მხოლოდ როგორც თანმხლები არაპროფესიული ფილგვისმიერი პათოლოგიის გართულება.

110. რა კავშირშია ფილგვის სოკოვანი დაავადება და პნევმოკონიოზი?

- *ა) კავშირი არ არსებობს;
- ბ) პნევმოკონიოზი რთულდება ფილგვის სოკოვანი დაავადებით;
- გ) ფილგვის სოკოვანი დაავადება ხელს უწყობს პნევმოკონიოზს.

111. რა კავშირია პნევმოკონიოზსა და სარკოიდოზს - ჰამან-რიჩის დაავადებას შორის

- *ა) პნევმოკონიოზის ლიფერენციალური ლიანგნოსტიკისათვის სარკოიდოზი უნდა გამოირიცხოს;
- ბ) პნევმოკონიოზი რთულდება სარკოიდოზით;
- გ) სარკოიდოზი წინ უსწრებს პნევმოკონიოზს;
- დ) შესაძლებელია ორივე პროცესის ერთად თანაარსებობა.

112. გვხვდება თუ არა მაფიბროზებული ალვეოლიტი (ბენიე-ბეკ-შაუმანის დაავადება) პნევმოკონიოზის დროს?

- *ა) პნევმოკონიოზის დასადგენად საჭიროა მაფიბროზებული ალვეოლიტის გამორიცხვა;

- ბ) მაფიბროზებული ალვეოლიტი წინ უსწრებს პნევმოკონიოზს;
- გ) მაფიბროზებული ალვეოლიტი გვხვდება პნევმოკონიოზის დროს თანმხლები დაავადების სახით;
- დ) პნევმოკონიოზი მაფიბროზებული დაავადებით რთულდება;

113. რა დამოკიდებულებაა პნევმოკონიოზსა და ლეიომიომატომს შორის?

- *ა) პნევმოკონიოზის დიფერენციალური დიაგნოსტიკისათვის ლეიომიომატომი უნდა გამოირიცხოს;
- ბ) ლეიომიომატომი რთულდება პნევმოკონიოზით;
- გ) პნევმოკონიოზი რთულდება ლეიომიომატომით;
- დ) ლეიომიომატომი და პნევმოკონიოზი ვიგარდება პარალელურად

114. რა კავშირია მილიარულ ტუბერკულოზსა და პნევმოკონიოზს შორის?

- ა) ორივე პროცესი ვითარდება პარალელურად;
- *ბ) საჭიროა მათი დიფერენციალური დიაგნოსტიკისათვის;
- გ) მილიარული ტუბერკულოზი წინ უსწრებს პნევმოკონიოზის განვითარებას;
- დ) კავშირი არ არსებობს, ვინაიდან ორივე დაავადება მკვეთრად განსხვავდება რენტგენოლოგიურად;

115. ფილტვის ტუბერკულოზის რომელი ფორმით რთულდება პნევმოკონიოზი?

- ა) მხოლოდ კეროვანი;
- ბ) მხოლოდ ინფილტრაციული;
- გ) . მხოლოდ ფიბროკავერული;
- *დ) დამოკიდებულია პნევმოკონიოზის გამომწვევი მტვრის სახეობაზე;
- ე) არასდროს არ რთულდება;

116. პნევმოკონიოზის რომელი სახე რთულდება ძირითადად ტუბერკულოზით?

- *ა) სილიკოზი;
- ბ) მანგანოკონიოზი;
- გ) კარბოკონიოზი;
- დ) ბისინოზი;
- ე) ბაგასოზი;
- ვ) ტალკოზი;
- ზ) ანდეზიტოზი;
- თ) ბარიტოზი;

117. პნევმოკონიოზის რომელი სახე რთულდება უპირატესად ფილტვის კიბოთი?

- ა) მანგანოკონიოზი;
- ბ) კარბოკონიოზი;
- გ) ბარიტოზი;
- დ) ტალკოზი;
- *ე) ამბესტოზი;

118. რის საფუძველზე წყდება საბოლოოდ კონიოტუბერკულოზის დიაგნოზი

- ა) ზოგადი ინტოქსიკაციის სიმპტომები;
- ბ) ექსტრაპულმონური ტუბერკულოზის თანაარსებობა;
- გ) ექსუდაციური პლევრიტის განვითარება;
- დ) კოხის ჩხირის აღმოჩენა ნახველში;
- ე) ფილტვიდან სისხლის დენა;
- *ვ) კლინიკური მიმდინარეობისა და რენტგენომორფოლოგიური ცვლილებების შეპირისპირება დაავადების განვითარების პროცესში;

119. ტუბერკულოზის მწვავე დისემინირებული ფორმა პნევმოკონიოზისაგან განსხვავდება:

- ა) ზოგადი ინტოქსიკაციის მკვეთრად გამოხატული სინდრომით
- ბ) ფილტველში სველი ხიხინის სიჭარბით
- გ) ტუბერკულოზის ლოკალიზაციით სხვა ორგანოებში
- დ) პნევმოკონიოზისთვის ინტერსტიციული ცვლილებების არ არსებობით
- *ე) ყველა ჩამოთვლილი სინდრომები დამახასიათებელია ტუბერკულოზის მწვავე დისემინირებული ფორმისთვის

120. რომელი კლინიკური ნიშნებია ხშირი და პათოგნომური კონიოტუბერკულოზის დროს

- ა) ზოგადი ინტოქსიკაციის სიმპტომები
- ბ) ექსტრაპულმონური ტუბერკულოზის თანაარსებობა
- გ) ექსუდაციური პლევრიტის განვითარება
- დ) კოხის ჩხირის აღმოჩენა ნახველში
- ე) ფილტვიდან სისხლის დენა
- *ვ) კლინიკური მიმდინარეობისა და რენტგენომორფოლოგიური ცვლილებების დაპირისპირება დაავადების განვითარების პროცესში

121. ლეიომიომატოზი განსხვავდება პნევმოკონიოზისაგან შემდეგი ნიშნით:

- ა) უფრო ხშირად ავადღებიათ ქალები
- ბ) დამახასიათებელია გლუვი კუნთების ბრღა-განვითარება ბრონქოლების გასწვრივ, რაც რენტგენოლოგიურად ვლინდება ფილტვებში ლაქოვანი ჩრდილების სახით
- გ) საშვილოსნოს ჰიპერპლაზია; ენდოკრინული მოშლილობანი; პნევმოქილოზი
- *დ) ჩამოთვლილი ყველა სიმპტომი სხვადასხვა კომბინაციაში დამახასიათებელია ლეიომიომატოზისთვის და არ გვხვდება პნევმოკონიოზის დროს

122. ფილტვების იდიოპათური ჰემოსიდროზის კარდინალური და პნევმოკონიოზისაგან განმასხვავებელი ნიშნებია:

- *ა) ფილტვებში განმეორებითი სისხლჩაქცევები, ფილტვების ჰემოსიდროზი და სკლეროზი; ჰიპოქრომული ანემია, პერიოდული სისხლდენა ფილტვებიდან, რენტგენოლოგიურად - სიმეტრიული დიფუზური მკვრივი და ბადისებური დაჩრდილვები
- ბ) ხველა, ქოშინი, ტკივილი გულმკერდში, ციანოზი, ფილტვებიდან პერიოდული სისხლდენა, რენტგენოლოგიურად - ცალმხრივი ან ორმხრივი ინფილტრაციული და კავერნული ჩრდილები, სისხლში ლეიკოციტოზი, ლიმფოციტოზი, ეოზინოფილია, მომაგებულია ელს-ი
- გ) კანზე სისხლჩაქცევები, ღრძილებიდან სისხლდენა, ხველა სისხლიანი ნახველით; ჰიპოქრომული ანემია; ფილტვებში რენტგენოლოგიურად ორმხრივი ინტერსტიციული ფიბროზი

123. პნევმოკონიოზების დიფერენციული ნიშნებია:

- *ა) ხანგრძლივი კონტაქტი ფიბროზოგენულ მკვერთან, რენტგენოლოგიური ცვლილებები ფილტვებში - ორმხრივი, სიმეტრიული, უპირატესად შუა და ქვედა უბნებში; ჰემატოლოგიური ცვლილებების არ არსებობა
- ბ) ფილტვების ასიმეტრიული ფიბროზის რენტგენოლოგიური სურათი შესაძლებელია ორმხრივიც და ცალმხრივიც; სისხლში მკვეთრად გამოხატული ეოზინოფილია; ნახველში დიდი რაოდენობით კურშმანის სპირალები და შარკო-ლეიფენის კრისტალები; კანის და ლორწოვანი გარსების წყლულოვანი დაზიანება;
- გ) დასაწესში - გემპერატორა, შემდგომ შემაწუხებელი “მუხაჭნავი” ხასიათის ხველა მცირე მორუხო ნახველით; მშრალი და სველი ხიხინი; მოგინებით - კეროვანი ან ლობალური პნევმონიის სურათი; რენტგენოგრაფიაზე - გაურკვეველი ხასიათის ლაქოვანი ჩრდილები, აგულექტაზები, ინფილტრატები, კავერნები, ლეიკოპენია, ბაზოფილია, ეოზინოფილია, ნახველში - სოკოები

124. შეგრენის სიმპტომი პნევმოკონიოზისაგან განსხვავდება:

- ა) ბრონქ-ფილტვთა ცვლილებები ვითარდება მრავალწლიანი ქრონიკული ბრონქიტის ფონზე
- *ბ) ბრონქ-ფილტვთა ცვლილებები შეუღლებულია მშრალ კერატო-კონიუნქტივიტთან, ქრონიკულ პარენქიმულ პაროტიტთან, ქსეროსტომიასთან, ზოგჯერ რემატოიდული ართრიტი ან სხვა სახის კოლაგენოზები
- გ) პროცესი იწყება პროლუქციული ხველით ცხელების ფონზე, მოგვიანებით ვლინდება კანის წყლულოვანი დაზიანება, უშაქრო დიაბეტის სიმპტომოკომპლექსი და ფილტვებში პნევმოფიბროზისათვის დამახასიათებელი რენტგენოლოგიური ცვლილებები
- დ) ჰემატოლოგიური ძვრების ფონზე - ანემია, ლეიკოპენია, თრომბოციტოპენია, თავს იჩენს ჰემორაგიული ღიათემის ნიშნები, ფილტვებში პნევმოფიბროზის სურათი ვლინდება “რენტგენოლოგიური სიურპრიზის” სახით

125. ბეხჩეტის დაავადება პნევმოკონიოზისაგან განსხვავდება:

- ა) უსიმპტომო მიმდინარეობით მრავალი წლის მანძილზე, შემდგომ იწყება დიგესტიური დისკომფორტი, მშრალი ხველა, ქოშინი, რენტგენოლოგიურად ინტერსტიციული ფიბროზის სურათი
- *ბ) დამახასიათებელია “სამმაგი სინდრომი” - 1) თვალის დაზიანება: ქრონიკული მორეციდივე ირიტი, კონიუნქტივიტი, კერატიტი, უვეიტი, ფლიქტენულოზი, ირიდოციკლიტი, მეორადი გლაუკომა, მხედველობის ნერვის ატროფია; 2) სასქესო ორგანოების ლორწოვანი გარსზე და მიმდებარე კანის საფარველზე აფტოზური გამონაყარი; 3) ლოყების, ტუჩების, პირის ღრუს ენისა და ხახის ლორწოვანი გარსზე წერილბუშტუკოვანი გამონაყარი
- გ) კლასიკური ტრიადით: 1) ჩხელებითი ხასიათის ტკივილი მუცლის არეში; 2) ყაბზობა, რომელიც არ ემორჩილება საფაღარათო საშუალებებს; 3) არტერიული ჰიპერტენზია

126. ქრონიკული დისემინირებული ტუბერკულოზისათვის დამახასიათებელია:

- *ა) გალდისებური მიმდინარეობა, მარეციდივებელი მშრალი ან ექსუდაციური პლევრიტი, ტუბერკულოზის ექსტრაპულმონარული ლოკალიზაცია, რენტგენოლოგიური ცვლილებები უპირატესად ფილტვების მწვერვალებსა და ზემო ნაწილებში; კერების ნაირფეროვანი ფორმა და სიმკვრივე
- ბ) მონოკლონური მიმდინარეობა, პროცესის ლოკალიზაცია მხოლოდ ფილტვებში, უპირატესად პრეჰილუსის ზონაში, კერების ერთფეროვანი ფორმა და სიმკვრივე
- გ) პროცესის მკაცრი სიმეტრიულობა, გაძლიერებული და ჩამოკვეთილი ჰილუსები, კერების ერთფეროვანი ფორმა და სიმკვრივე
- დ) პროცესი, როგორც წესი ლოკალიზირდება მარჯვენა ფილტვში; პროცესი იწყება მწვერვალიდან და შემდგომ ვრცელდება მთლიანად მარჯვენა ფილტვში.

127. სარკოიდოზი განსხვავდება პნევმოკონიოზისაგან შემდეგი სიმპტომოკომპლექსით:

- ა) არ ხასიათდება სტადიურებით
- *ბ) მედიასტინური ჯირკვლების მნიშვნელოვანი გადიდება პოლიციკლიური კონტურებით; ექსტრა და ინტრაპერიტონიული ლიმფური ჯირკვლების, კანის, საყრდენ მამოძრავებელი აპარატის, თვალის ნერვული სისტემის, გულის, ღვიძლის, ელენთის, თირკმელების, კუჭ-ნაწლავის სისტემის დაზიანება
- გ) ფილტვების იმოლირებული დაზიანება

დ) ქვეყნის სინჯი უარყოფითია

128. ილიოპათიური დიფუზური მაფიბროზებული ალვეოლიტის დიფერენცირება პნევმოკონიოზისაგან შესაძლებელია შემდეგი ნიშნებით:

- ა) მხოლოდ პროფესიოგრამის შესწავლის საფუძველზე
- *ბ) ხშირია მწვავე დასაწყისი, პროგრესირებადი ქოშინი, ციანოზი, დოლისებრი თითები, სველი ხიხინი, სისხლიანი ნახველი
- გ) დასაწყისში სულისხუთის შეტევები, შემდგომ სწრაფად ფილტვისმიერი გულის სინდრომის ჩამოყალიბება; ლეიკოპენია, ლიმფოციტოზი, ელს შენელებულია
- დ) გამოხატული ანემია, მკვეთრად გამოხატული ასთენიური სინდრომი. პროცესი ასიმეტრიულია

129. ფილტვების კარცინომატომის პნევმოკონიოზისაგან დიფერენცირებისას მხედველობაშია მისაღები

- *ა) გაცილებით უფრო მძიმე მიმდინარეობა პნევმოკონიოზთან შედარებით, ზოგადი ინტოქსიკაციის მოვლენები, რენტგენოლოგიურად - პოლიმორფული კეროვანი ჩრდილების არამკაფიო კონტურებით, ნახველში ატიპიური უჯრედების არსებობა;
- ბ) პროცესის ლოკალიზაცია ფილტვების მწვერვალში, ჰემატოგენური ძვრების არსებობა, რენტგენოლოგიურად - "ჩამოკვეთილი" ფილტვების კარი, შესუსტებული ვეზიკულური სუნთქვა ფილტვების მწვერვალის საპროექციო არეში
- გ) კეთილთვისებიანი მიმდინარეობა, ინტოქსიკაციის ნიშნების არარსებობა; სუნთქვის უკმარისობის ნიშნები არ აღინიშნება; რენტგენოლოგიურად გაფანტული ერთგვაროვანი ჩრდილები მკაფიო კონტურებით

130. ვეგენერის გრანულომატოზი განსხვავდება პნევმოკონიოზისაგან შემდეგი ნიშნებით:

- *ა) ხახის, გემო სასუნთქი გზების, ფილტვების და საყლაპავი მილის დამიანება, ჩირქოვან-სისხლიანი ნახველი, შემცივნება, ცხელება, სახსრებისა და კუნთების ტკივილი, ჰეპატო-ლიენური სინდრომი, ეოზინოფილია, ფილტვებში ინფილტრატების და კავერნების სწრაფი განვითარება
- ბ) დასაწყისში - მწვავე ბრონქიტის მოვლენები, რომლის ფონზე ყალიბდება სულისხუთის შეტევები; მოგვიანებით - პნევმოსკლეროზი, ფილტვისმიერი გული, გამონაყარი, ქავილი, ართრალგიები
- გ) უსიმპტომოდ, მიმდინარე პნევმოსკლეროზი, რომელიც ვითარდება ართრალგიების და გავრცობილი დერმატოზების ფონზე; ჰემატოლოგიური ძვრები - ანემიის, ეოზინოფილიისა და მომაგებული ელს-ის ფონზე

131. ქრონიკული სისტემური პროგრესირებადი ჰისციოციტოზი პნევმოსკლეროზისაგან განსხვავდება შემდეგი ნიშნებით:

- *ა) პნევმოფიბროზი ვლინდება ჰიპერქოლესტერინემიის, ჰეპატო-ლიენური სინდრომის, უშაქრო დიაბეტის, ეგზოფთალმუსისა და ბრტყელი ძვლების დესტრუქციის ფონზე
- ბ) პნევმოფიბროზის ჩამოყალიბებას წინ უსწრებს ქრონიკული ბრონქიტის სინდრომი, მოგვიანებით დამახასიათებელია სულისხუთის შეტევები, მყარი არტერიული ჰიპერტენზია, გულ-ფილტვის უკმარისობის სინდრომი
